



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 77

13 09 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 5 სექტემბრის N3830-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 სექტემბრის სხდომის N16 ოქმის მე-12 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 5 სექტემბრის N03/10609 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილის 2017 წლის 5 სექტემბრის N3830-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ქალაქ მარნეულში მცხოვრებ მოქალაქე ავარ ალიევას ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N84 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 209 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი N83.02.19.409) 42 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი